

ტექნიკური დავალება ტორზილაჰესის
დეტალური პროექტის დამუშავებაზე

სარჩევი

შესავალი..... 2

პროექტის ადგილმდებარეობა..... 2

პროექტის აღწერა და დიზაინი..... 2

პროექტირების ეტაპები 3

კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურების შესრულების პირობები..... 4

დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა..... 5

ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და ნატანის შემსწავლელი კვლევები..... 6

გეოლოგია, გეოტექნიკა, სეისმურობა და სამშენებლო მასალები..... 6

გარემოსდაცვითი მიმოხილვა 7

ხარჯთაღრიცხვები 7

მშენებლობის გრაფიკი 8

საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ფორმა 8

საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ენა..... 9

პერსონალი..... 9

სამუშაოების ჩაბარება 10

ტორზილაჰესი

ტექნიკური დავალება

შესავალი

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ - (შემდგომში მოიხსენება, როგორც „ფონდი“ და „დამკვეთი“) ქვეყნის მასშტაბით ანხორციელებს განახლებადი ენერჯო რესურსების მოძიებას და მათი რეალიზების ხელშეწყობას.

წინამდებარე ტექნიკური დავალება ითვალისწინებს კონსულტანტის მოძიებას, ტორზილაჰესის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაზე.

პროექტირება უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად: პირველი ეტაპი გულისხმობს უხეში გათვლებით ჰესის ეფექტურობის განსაზღვრას, რომლის ანალიზით განისაზღვრება მეორე ეტაპზე გადასვლის მიზანშეწონილობა (იხ. თავი პროექტირების ეტაპები).

როგორც დამხმარე მასალა, ტექ. დავალებასთან ერთად, დამკვეთი გადასცემს კონსულტანტს, „ფონდი“-ის მიერ 2016 წელს, ტორზილაჰესისათვის დამუშავებულ წინასპროექტო მოკვლევის ვერსიას.

პროექტის ადგილმდებარეობა

პროექტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. წიფას ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიასთან დაკავშირება შეიძლება თბილისიდან სურამამდე ასფალტირებული გზით, ხოლო სურამიდან წიფამდე დაახლოებით 8კმ სიგრძის გრუნტის გზით, რომელიც გამტარუნარიანია, როგორც საძიებო-კვლევითი, ისე მშენებლობისათვის საჭირო ტრანსპორტისა და მექანიზმებისათვის.

ტორზილაჰესისათვის ნავარაუდევ სათავე კვანძამდე მისავლელად, მდინარის ორივე ნაპირზე არსებობს გრუნტის გზა, რომელთაგან უკეთესის არჩევა უნდა მოხდეს კონსულტანტთან ერთად და ამის შემდგომ უნდა განისაზღვროს ამ გზის საჭირო კონდიციამდე მისაყვანად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობა.

დამკვეთის მიერ, საიტ ვიზიტის დროს ვიზუალურად შერჩეული სათავე კვანძისა და ჰესის შენობის ადგილების კოორდინატებია UTM სისტემაში: სათავის $x=368980$, $y=4653485$. ჰესის შენობის $X=369460$, $Y=4650495$

პროექტის აღწერა და დიზაინი

დამკვეთის მიერ ნავარაუდევია, მდ. ტორზილასწყალზე არარეგულირებადი, მოდინების რეჟიმში მომუშავე ჰესის მოწყობა, რომელსაც ექნება ტიროლის ტიპის წყალმიმღები, თუმცა არ გამოირიცხება დღედამური რეგულირების გათვალისწინება, თუ ეს იქნება დასაბუთებული პროექტირების რომელიმე ეტაპზე.

დამკვეთის აზრით, წყალმიმღების გაგრძელებაზე მოსაწყობი სალექარი დასაშვებია იყოს, როგორც ერთკამერიანი-პერიოდული რეცხვის, ისე ორკამერიანი, რომელთაგან უპირატესობა მიენიჭება

ტორზილაჰესი ტექნიკური დავალება

ეკონომიკური დასაბუთებით მიღწეულ მეტ ეფექტურ მაჩვენებელს, რომელიც ჩატარდება პროექტირების რომელიმე ეტაპზე და წინასწარ იქნება შეთანხმებული დამკვეთთან.

სალექარის გაგრძელებაზე ნავარაუდევია ლითონის ან პოლიეთილენის სადერივაციო მილსადენის მოწყობა, რომელიც შეიძლება გაყვეს მდინარის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ნაპირს, იმის მიხედვით, თუ რომელი სქემის შემთხვევაში გვექნება ნაკლები ზემოქმედება გარემოზე. დამკვეთი არ გამოორიცხავს მდინარის კალაპოტის ნაწილობრივ ან მთლიან გამოყენებას სადერივაციო მილსადენისათვის.

ჰესის შენობის მოსაწყობად ნავარაუდევია, მდ. ტორზილასწყლისა და მდ. ჩხერიმელას შერთვის ადგილის სიახლოვე, მის ქვემოთ დინების მიმართულებით, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირას.

გამომუშავებული ენერჯის ჩართვა, დამკვეთის აზრით შესაძლებელია იქვე არსებული 110/35/10 ძაბვის სატრანსფორმატორო ქვესადგურში, რომელიც ემსხურება არსებულ რკინიგზას და სოფ. წიფას მაცხოვრებლებს. აღნიშნული ქვესადგური გვევლინება, ზესტაფონი-ხაშურის დამაკავშირებელ ე.გ.ხ. 110კვ-ის შემადგენელ ნაწილად და წარმოადგენს სს „ენერგო-პრო ჯორჯი“-ას საკუთრებას.

პროექტირების ეტაპები

კონსულტანტი ახორციელებს საძიებო-საპროექტო სამუშაოებს 2-ეტაპად:

პირველი ეტაპი- გულისხმობს ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, რომელიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ 2-ალტერნატიული სქემის დამუშავებას, სადაც იქნება განხილული ძირითადი ჰიდრონაგებობების ტიპებისა და კონსტრუქციების ყველა შესაძლო ვერსიის განხილვა. მათ შორის უფრო ეფექტური ვარიანტის შერჩევას და მისი უპირატესობის ეკონომიკურ დასაბუთებას.

პირველი ეტაპის ანგარიშში უნდა იქნეს წარმოდგენილი უხეში ხარჯთაღრიცხვა თითოეულ ალტერნატივაზე ცალცალკე.

აღნიშნული ალტერნატივები უნდა ითვალისწინებდეს არსებულ ინფრასტრუქტურას და მისასვლელ გზებს მშენებლობისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების გატარების თვალსაზრისით. წარმოდგენილი უხეში ხარჯთაღრიცხვა სრულად უნდა მოიცავდეს ყველა ძირითად სამუშაოს და მიწის შესყიდვის ხარჯებს.

მეორე ეტაპი- უნდა მოიცავდეს გამომუშავებული ენერჯის ქსელთან მიერთების კვლევას, დამკვეთთან შეთანხმებით არჩეული ალტერნატივისათვის შესაბამისი ტოპო-გეოლოგიური და სეისმოლოგიური კვლევების ჩატარებას, სათავე კვანძის, სადერივაციო მილსადენის სატურბინო მილსადენის, ჰესის მთლიან კონსტრუქციულ და ელექტრო-მექანიკურ ნაწილის დეტალურ (მუშა) პროექტს, დეტალური ხარჯთაღრიცხვას, და ყველა შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გრაფიკს.

პროექტირების პირველი ეტაპიდან მომდევნოზე გადასვლა განხორციელდება დამკვეთის გადაწყვეტილებით.

ტორზილაჰესი ტექნიკური დავალება

კონსულტანტის მიერ გაწეული მომსახურების შესრულების პირობები.

კონსულტანტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰესის ძირითადი ჰიდრონაგებობებისათვის ეფექტური სქემის შერჩევას, რომლის განხორციელებაც უნდა აწარმოოს დამკვეთის თანამონაწილეობით.

კონსულტანტი უფლებამოსილია შემოგვთავაზოს დამკვეთის მიერ ნავარაუდები სქემის გონივრული შეცვლა, სათანადო დასაბუთების წარმოდგენით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მეტი გამოცდილებიდან ან შესრულებული ტოპო-გეოლოგიური კვლევების შედეგებიდან გამომდინარე.

მოცემული ტექნიკური დავალებით კონსულტანტის მიერ შესრულებული საპროექტო სამუშაოების კვლევის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს მომქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს და უნდა იყოს მაღალხარისხიანი პროდუქტი.

აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო დამატებით გეოლოგიურ კვლევებს და ტოპო-რუკების წარდგენა კონსულტანტისათვის ევალება სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“-ს, იმ პირობით რომ აღნიშნულ ინფორმაციაზე ტექნიკური დავალება მომზადდება დამკვეთთან ერთად.

კონსულტანტმა პროექტირების მუშა პროცესში პერიოდულად უნდა წარმოადგინოს ყველა შესაძლო ალტერნატივა (არსებობის შემთხვევაში), რომ დამკვეთთან ერთად მიღწეულ იქნას უკეთესის შერჩევა.

კონსულტანტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს, გარემოზე ზემოქმედების საკითხს, რომ შეძლებისდაგვარად მინიმალური ზიანი მიადგეს მას.

კონსულტანტის მიერ შერჩეული ცალკეული ნაგებობა, უნდა პასუხობდეს მასზე დაკისრებული ფუნქციის სრულყოფილ შესრულებას.

სათავე კვანძმა უნდა უზრუნველყოს მდინარის ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნება, მის კალაპოტში მყარი ნატანის ტრანსპორტირების მხრივ.

კონსულტანტმა მოკლედ უნდა აღწეროს პროექტის ზონაში არსებული ინფრასტრუქტურა, წარმოადგინოს რუკა და მიუთითოს მასზე მანძილი პროექტის ადგილიდან უახლოეს სოფლამდე/ქალაქამდე, უახლოეს აეროპორტამდე/საზღვაო პორტამდე/რკინიგზის სადგურამდე.

ტორზილაჰესი ტექნიკური დავალება

კონსულტანტმა უნდა მიუთითოს რუკაზე და შეაფასოს, არსებული სარეკონსტრუქციო და დამატებითი ახალი გზების სიგრძე, რომლებიც საჭირო იქნება პროექტის მთავარ ნაგებობებთან მისასვლელად, როგორც მშენებლობის დროს ისე მისი ექსპლუატაციის პერიოდში.

სალექარის კონსტრუქცია უნდა ხასიათდებოდეს ნაკლები ნატანის მოგროვების უნარით, რაც განხორციელდება სალექარში შემოსული ზედმეტი წყლის, მის დაწრეტამდე გადაღვრით და არა სუფთა წყლის გადაღვრით.

იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე მილსადენის გატარება, ამ სამუშაოების დაწყება უნდა დაიგეგმოს მესაკუთრეებთან შეთანხმებით, მოსავლის აღების შემდეგ და დასრულდეს მომავალი ხვნა-თესვის დაწყებამდე. ამასთანავე უნდა იქნეს გათვალისწინებული მილსადენის ჩასადები თხრილების მოწყობამდე მიწის ჰუმუსის მოხსნა და დროებით დასაწყობება, ხოლო მილსადენის ჩადების შემდეგ მისი უკან დაყრა.

კონსულტანტი პასუხისმგებელია ქვე-კონტრაქტორების მუშაობის ხარისხზე და სამუშაოების შესრულების გრაფიკის დაცვაზე.

დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა

მეორე ეტაპის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

- 1) ძირითადი საკითხები, საპროექტო არეალის აღწერა;
- 2) პროექტის ადგილმდებარეობის რუკა (სადაც გამოჩნდება ძირითად ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ურთიერთ შეთანწყობის მართებულობა).
- 3) პროექტის კონფიგურაციის შერჩევის ალტერნატივებისა და საბოლოო ვერსიის რუკა.
- 4) წყალშემკრები აუზის რუკა საპროექტო ადგილებისა და ანალოგი ჰიდროსაგუშაგოს ჩვენებით.
- 5) პროექტის აღწერა და გენგეგმა;
- 6) მდინარის გრძივი პროფილი.
- 7) ტოპოგრაფიული გადაღებები და რუკები, ნაგებობათა ჩვენებით UTM WGS84 Zone 38 North კოორდინატთა სისტემაში (მილსადენის ტრასა - 1:2000, ძირითადი ნაგებობები - 1:500)
- 8) ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და მდინარის მყარი ნატანის კვლევები;
- 9) გეოლოგიური რუკები, მკაფიოდ დატანილი პროექტის არეალით, გეოტექნიკა, სეისმიკა;
- 10) ელ. მექანიკური მოწყობილობების მომწოდებელი კომპანიის შერჩევა.
- 11) ენერჯის გამომუშავების კვლევა ყოველდღიური წყლის ხარჯების გამოყენებით;
- 12) პროექტის შეფასება, ეკონომიკური დასაბუთება და ფინანსური ანალიზი, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს წარმოებულ ენერჯიას და პროექტის მთლიან დანახარჯებს;
- 13) ქვესადგური და ქსელთან მიერთების უახლოესი წერტილის შერჩევა;
- 14) არსებული ინფრასტრუქტურა და მისასვლელი გზების განვითარება ;

ტორზილაჰესი ტექნიკური დავალება

- 15) სამშენებლო მასალებისა და კარიერების ადგილმდებარეობის მოკვლევა რუქაზე დატანით.
- 16) გარემოზე ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები.
- 17) დეტალური ხარჯთაღრიცხვა
- 18) მშენებლობის ორგანიზაცია და მშენებლობის დეტალური გრაფიკი;
- 19) პროექტის შეფასება
- 20) დასკვნები, რეკომენდაციები

საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობაში კონსულტანტმა ძირითადად უნდა წარმოადგინოს შემდეგი ნახაზები (თავად ანგარიშში ან დანართის სახით):

- ❖ პროექტის ადგილმდებარეობის რუკა;
- ❖ ინფრასტრუქტურისა და ადგილზე მისასვლელი გზების რუქა;
- ❖ გეოლოგიური რუკები მკაფიოდ დატანილი პროექტის არეალით;
- ❖ სეისმური რუკა მკაფიოდ დატანილი პროექტის არეალით;
- ❖ წყალშემკრები აუზის რუკა საპროექტო კვეთებისა და ანალოგი ჰიდრო საგუშაგოების ჩვენებით
- ❖ მდინარის გრძივი პროფილი
- ❖ გენგემა, ყველა ძირითადი ნაგებობებისა და გზების ჩვენებით
- ❖ სამშენებლო მასალების კარიერების რუქა
- ❖ პროექტის ძირითადი ნაგებობების დეტალური ნახაზები

ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და ნატანის შემსწავლელი კვლევები

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს, ამ ზონაში არსებული ჰიდროსაგუშაგოების ყოველდღიური (დეტალური პროექტისათვის) დაკვირვების მონაცემები; წყლის საშუალო ყოველდღიური და საშუალო თვიური ხარჯების ცხრილის სახით. საპროექტო რეგიონის მეტეოროლოგიური პირობები, მდინარის მყარ ნატანზე დაკვირვების მონაცემები და ამ მონაცემებზე დაყრდნობით სათანადო გაანგარიშებები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საიმედო ფუნქციონირებას.

საძიებო კვლევის პერიოდში უნდა იქნეს გამოყენებული ყველა შანსი, რომ ჩატარებულ იქნეს წყლის ფაქტიური ხარჯების გაზომვა, როგორც სათავე კვანძთან ისე მდ. ჩხერიმელასთან შერთვის ადგილებში. ეს გაზომვები უნდა იქნეს შედარებული ანალოგის გზით განსაზღვრულ ხარჯებთან, რომ უფრო დაზუსტდეს ენერგეტიკული გაანგარიშების სისწორე.

ენერგეტიკული ანგარიში დეტალური პროექტის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს უახლოესი ჰიდროსაგუშაგოდან აღებული ყოველდღიური დაკვირვების წყლის ხარჯების გამოყენებით.

გეოლოგია, გეოტექნიკა, სეისმურობა და სამშენებლო მასალები

დეტალური პროექტირებისათვის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა უნდა განხორციელდეს, წყალმიმღების, სადერივაციო ტრაქტისა და ჰესის შენობის ზონაში. აუცილებელია ამ

ტორზილაჰესი ტექნიკური დავალება

ადგილებისათვის მინიმუმ თითო ჭაბურღილის მოწყობა რომლის მონაცემების გამოყენებით დასაშვებია გეოფიზიკური მეთოდით კვლევის დასრულება.

სადერივაციო მილსადენის განთავსების მთელ სიგრძეზე აუცილებელია, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა გარეცხვის სიღრმეების დადგენით. რაც მოგვცემს მილსადენის მოწყობის შემდეგ მისი მდგრადობის შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსაზღვრის შესაძლებლობას.

სეისმოლოგიური კვლევა უნდა მოიცავდეს ტექტონიკური გარემოს შესწავლას, რღვევებისა და პალეო სეისმურობის კვლევას, მიწისძვრებისა და პროექტის არეალის რეგიონულ სეისმურობას საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

კონსულტანტმა უნდა დაადგინოს არსებული და პერსპექტიული სამშენებლო მასალების მოპოვების და კარიერების ადგილები, როგორებიცაა მიწა, ქვები, ქვიშა, ხრეში და ა.შ. ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი სამშენებლო მასალების მაქიმალურად გამოყენებას.

სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყენებული სამშენებლო მასალები და მოწყობილობები უნდა დაიყოს: ადგილზე ხელმისაწვდომად და იმპორტზე დამოკიდებულად.

გარემოსდაცვითი მიმოხილვა

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს აღნიშნული ჰესის მშენებლობისგან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, სადაც წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

უნდა იყოს წარმოდგენილი, პროექტის ახლოს მდებარე დაცული ტერიტორიების არსებობის შესახებ ინფორმაცია და გარემოსდაცვითი საკითხები განხილული უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესწავლის მოთხოვნებისა და საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად საძიებო კვლევის დონეზე.

უნდა შეგროვდეს პროექტთან შეხებაში მყოფი არეალის საბაზისო მონაცემები ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციო-კულტურული გარემოს მიხედვით, რათა შენარჩუნებულ იქნას სოციო-გარემოსდაცვითი მოთხოვნები.

ხარჯთაღრიცხვები

კონსულტანტი წარმოადგენს, როგორც პირველი ეტაპის უხეშ ხარჯთაღრიცხვას ისე დეტალური პროექტის სრულყოფილ ხარჯთაღრიცხვას.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის უნდა დამუშავდეს უხეშ ხარჯთაღრიცხვა რაც შექმნის წარმოდგენას შემოთავაზებულ ალტერნატივათა უპირატესობის განსაზღვრაზე და პროექტირების შემდეგ ეტაპზე გადასვლის მიზანშეწონილობაზე.

უხეშ ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის მიიღება; სამშენებლო სამუშაოებზე 20% ხოლო ელექტრო-მექანიკურ სამუშაოებზე 10%.

ტორზილაჰესი ტექნიკური დავალება

დეტალური პროექტირებისათვის კი, ხარჯთაღრიცხვა უნდა მოიცავდეს დეტალურად ცალკეული სამუშაოების მოცულობას თავისი განზომილებით, შესასრულებელი სამუშაოს ერთეულ ფასს და სრულ ღირებულებას. ამ შემთხვევაში ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული ხარჯებისათვის მიიღება; სამშენებლო სამუშაოებზე 10% ხოლო ელექტრო-მექანიკურ სამუშაოებზე 5%.

გენერაციის მოწყობილობების ხარჯთაღრიცხვა უნდა დაეყრდნოს მომწოდებლების ფასებს. ხარჯთაღრიცხვაში უნდა შედიოდეს საკონტროლო მოწყობილობების/სისტემების, სათადარიგო მოწყობილობების, მათი ტრანსპორტირების, მონტაჟისა და ექსპლუატაციაში მიღების ფასები.

ჰიდრავლიკური ლითონის კონსტრუქციების ფასი უნდა ეფუძნებოდეს მომწოდებლების განაცხადებს ან საბაზრო ფასს, თუ ისინი ადგილზე ხელმისაწვდომია, სხვა შემთხვევაში ეყრდნობა მოცულობებს ან წონას.

ხარჯთაღრიცხვაში უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც მიწის შესყიდვისა და მისასვლელი გზების მოწყობის ხარჯები ისე გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებათა ხარჯები.

ხარჯთაღრიცხვაში აგრეთვე უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც დროებითი დასახლება მშენებლებისათვის, ისე მუდმივი სათავსოები, ჰესის ოპერირებისათვის.

ხარჯთაღრიცხვა უნდა იქნეს წარმოდგენილი აშშ დოლარებში.

მშენებლობის გრაფიკი

კონსულტანტმა დეტალური პროექტის ნაწილში უნდა წარმოადგინოს მშენებლობის გრაფიკი ყველა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე, აგრეთვე ქსელოვანი გრაფიკი, ძირითადი მოცულობებისა და ძირითადი ნაგებობებისათვის კრიტიკული გზის ჩვენებით.

საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადები

საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის გრაფიკი განისაზღვრება, არაუმეტეს:

პირველი ეტაპი- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის 2-თვე (ფასით კონტრაქტის მთლიანი ღირებულების 15%)

მეორე ეტაპი- დეტალური პროექტისათვის კი 4 თვე (ფასით კონტრაქტის მთლიანი ღირებულების 85%)

კონსულტანტის მიერ დეტალური (მუშა) პროექტის საბოლოო ვერსიას უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა და მხოლოდ დადებითი დასკვნის შემდეგ ჩაითვლება საპროექტო დოკუმენტაცია მიღებულად დამკვეთის მხრიდან. ექსპერტიზაზე დახარჯული დრო და ექსპერტის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გასასწორებლად საჭირო დრო მეორე ეტაპის ხანგრძლივობაში არ შედის, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს 45 კალენდარულ დღეს.

საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ენა

კონსულტანტის მხრიდან ყველა საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე.

ანგარიში თავიდან უნდა იქნეს წარმოდგენილი ნაბეჭდ 1-ეგზემპლარად ელექტრონულ ვერსიასთან ერთად, ხოლო ექსპერტის კომენტარების გათვალისწინების შემდგომ 3-ეგზემპლარში ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

პერსონალი

კონსულტანტმა უნდა დაიქირავოს კვალიფიციური პერსონალი, რომლებიც კომპეტენტური იქნებიან ყველა სამუშაოს ჩასატარებლად, ამ ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების ან/და უფლებამოსილებების შესაბამისად.

საკვანძო პერსონალის ასაყვანად, როგორც მინიმუმ, შემდეგი სპეციალისტებია საჭირო:

- პროექტის მენეჯერი
- ინჟინერ-ჰიდრავლიკი და ჰიდროლოგი
- გეოლოგი
- გეოტექნიკის და სეისმოლოგიის ექსპერტი
- ჰიდროტექნიკური ნაგებობების ინჟინერი
- ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი
- მასალების და ხარჯების ინჟინერი
- საფინანსო ექსპერტი
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ექსპერტი.

ეს სპეციალისტები უნდა იყვნენ პროფესიონალი ექსპერტები, მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილებით შესაბამის სფეროში.

პერსონალმა უნდა აჩვენოს მინიმუმ 3 მსგავსი ხასიათის პროექტში მონაწილეობა, რომლის შესაბამისად საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებამ დააფინანსა პროექტი.

შესაძლოა ერთმა პირმა შეითავსოს რამდენიმე ზემოთჩამოთვლილი პუნქტი, თუ მას გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია.

კონსულტანტის მხრიდან პროექტში მონაწილე პერსონალი უნდა ფლობდეს ქართულ ან/და ინგლისურ ენას.

სამუშაოების ჩაბარება

პროექტის ნებისმიერ ეტაპზე კონსულტანტი ვალდებულია იმუშაოს დამკვეთთან მჭიდრო კავშირში. გაითვალისწინოს დამკვეთის შენიშვნები და ასახოს ის პროექტში, ან წარმოადგინოს ამ შენიშვნების საწინააღმდეგო დასაბუთებული არგუმენტები.

კონსულტანტთან ანგარიშსწორებისთვის ცალცალკე იქნება განსაზღვრული თითოეული ეტაპის ღირებულება და ერთი ეტაპიდან მეორეში გადასვლა მოხდება დამკვეთის გადაწყვეტილებით.

მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ პროექტთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება გადადის დამკვეთის ხელში. კონსულტანტმა უნდა გადასცეს პროექტის ყველა მონაცემი დამკვეთს, იქნება ეს ნაბეჭდი თუ ელექტრონული სახით (ანგარიშები “.txt” ფორმატში, ნახაზები .dwg ფორმატში, და ა.შ.).